სახელმწიფო და ეკონომიკა

1.როგორია სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ საბიუჯეტო შემოსავლები აღემატება საბიუჯეტო ხარჯებს?

ა) დეფიციტური;

ბ) პრეფიციტური;

გ) დაბალანსებული;

დ) სეკვესტრირებული.

2. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში რა ეწოდება ეკონომიკურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც ქვეყანამ უმჯობესია აწარმოოს ის პროდუქცია, რომლის წარმოებაც მისთვის ყველაზე ეფექტიანია?

ა) უხილავი ხელის კონცეფცია;

ბ) გეგმიური ეკონომიკის თეორია;

გ) თავისუფალი ბაზრის პრინციპი;

დ) შედარებითი უპირატესობის თეორია;

3. რა ეწოდება ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების, წარმოებისა და განაწილების გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ცენტრალიზებულად იღებს?

ა) შერეული ეკონომიკა;

ბ) გეგმიური ეკონომიკა;

გ) საბაზრო ეკონომიკა;

დ) კოლექტიური ეკონომიკა.

4. რა ეწოდება საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის ტიპს, როდესაც ბაზარზე მრავალი გამყიდველი ყიდის მსგავსს საქონელს?

ა) მონოპოლია;

ბ) ოლიგოპოლია;

LIVEWORKSHEETS

გ) თავისუფალი კონკურენცია;

დ) მონოპოლისტური კონკურენცია.

5. რა ეწოდება ეკონომიკაში იმ საგნის ღირებულებას, რომელზეც უარს ვამბობთ არჩევანის გაკეთების დროს?

ა) საბაზრო ღირებულება;

ბ) მინიმალური ღირებულება;

გ) აბსოლუტური ღირებულება;

დ) ალტერნატიული ღირებულება.

6. რას ეწოდება სამუშაო ძალა?

ა) გაწეულ შრომას, რომლის სანაცვლოდ პიროვნება იღებს ანაზღაურებას;

ბ) პიროვნებას, რომელსაც შეუძლია მუშაობა და ეძებს შესაფერის სამუშაოს;

გ) ქვეყნის მოსახლეობაში სამუშაოს აქტიურ მაძიებელთა წილს;

დ) შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობას;

7. ეკონომიკაში საბაზრო წონასწორობა ნიშნავს:

ა.მიწოდების დეფიციტი;

ბ.კონკურენცია;

გ.მიწოდების სიჭარბე;

დ.მოთხოვნა-მიწოდება;

8.სახელმწიფო ბიუჯეტი არის:

ა.სახელმწიფოში შემოსავლების და ხარჯების ერთობლიობა;

ბ.სახელმწიფოს მიერ შედგენილი ფინანსური გეგმა,რომალშიც აღრიცხულია ერთი წლის მანძილზე შემოსავლები და ხარჯები;

LIVEWORKSHEETS

გ.ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი ხარჯების გეგმა;

დ. ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი შემოსავლების გეგმა;

9. როგორია სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ საბიუჯეტო ხარჯები აღემატება საბიუჯეტო შემოსავლებს?

ა) დაბალანსებული;

ბ) დეფიციტური;

გ) პრეფიციტური;

დ) სეკვესტრირებული;

10.ქვეყნის ეკონომიკას განსაზღვრავს რესურსები ჩამოთვალე ისინი:

ა.სასარგებლო წიაღისეული,სამუშაო ძალა,მშპ;

ბ.ადამიანური,ბუნებრივი,სასარგებლო წიაღისეული;

გ.ბუნებრივი,ადამიანური,ადამიანის მიერ შექმნილი;

დ.მშპ,ადამიანის მიერშექმნილი,ბუნებრივი;

11. ეკონომიკაში მეურნეობის დარგების გადანაწილებულებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

ა.სარგებელი,ტრანსპორტირება,ნაკლები დანახარჯი,ხელმისაწვდომობა;

ბ.სარგებელი,ტრანსპორტირება,გეოგრაფიული მდებარეობა;

გ.გეოგრაფიული მდებარეობა, ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირება, სარგებელი;

დ.სარგებელი,ნაკლები დანახარჯი,რეგიონების მიხედვით,

ტრანსპორტირება;

LIVEWORKSHEETS

12.მოცემულია ეკონომიკური სისტემების განმარტებები,შეუსაბამე მათ სახელწოდებები: შერეული ეკონომიკა,მბრძანებლური ეკონომიკა,საბაზრო ეკონომიკა;



13.სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა,რომლის მიზანია შემოსულ საქონელზე დააწესოს კონტროლი და შეზღუდვა,რათა დაიცვას საკუთარი მეურნეობა კონკურენციისგან ეწოდება:

ა.პროტექციონიზმი,

ბ.დეფიციტი;

გ.ინფლაცია;

დ. კონკურენცია;

14.ინტერნეტთაღლითობის ფორმა,რომლის დროს მომხმარებელს მიდის შეტყობინება ფოსტით ან სოციალური ქსელით და მასზე გადასვლით ხდება თაღლითობის მსხვერპლი ეწოდება:

ა.კიბერდანაშაული;

ბ.ფიშინგი;

გ.სმიშინგი;

LIVEWORKSHEETS

დ.შიფინგი;

15.ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის საზღვრებში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ღირებულებას ეწოდება:

ა.შემოსავლები;

ბ.საგადასახადო სიტემა;

გ.მთლიანი შიდა პროდუქტი;

დ.კონკურენცია;

16.ეკონომიკა არის :

ა.მეცნიერება, რომელიც პასუხს სცემს კითხვებზე: რა ვაწარმოო,ვისთვის ვაწარმოო და როგორ ვაწარმოო;

ბ.მეცნიერება,რომელიც სწავლობს,როგორ დაიკმაყოფილონ ადამიანებმა მზარდი მოთხოვნილებები შეზრუდული რესურსების პირობებში;

გ.ქვეყნის ერთიანი მეურნეობა,რომელშიც თავს იყრის სხვადასხვა დარგი;

დ.ყველა პასუხი სწორია;

17. დააკავშირეთ ერთმანეთთან ეკონომიკის სტრუქტურული ერთეულები:

წარმოება	ბაზარი
განაწილება	ყიდვა
მოხმარება	პროდუქტის შექმნა
გაცვლა	დაწესებულებები

18.სახელმწიფოში ფასების ზრდას,როდესაც ფულს შეუძლია ნაკლები რაოდენობის საქონლის შესყიდვა ეწოდება:

ა.დეპოზიტი;

ბ.ინფლაცია;

LIVEWORKSHEETS

გ.სტაგნაცია;

დ.კონკურენცია;

19. რა ეწოდება საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის ტიპს, როდესაც ბაზარზე ერთი გამყიდველი ყიდის საქონელს?

ა) მონოპოლია;

ბ) ოლიგოპოლია;

გ) თავისუფალი კონკურენცია;

დ) მონოპოლისტური კონკურენცია.

20.ქვეყანაში წარმოებული საქონელი ან მომსახურება,რომელიც იყიდება სხვა ქვეყანაში:
ა. იმპორტი;

ბ.რეექსპორტი;

გ.ექსპორტი;

დ. სალდო;

LIVEWORKSHEETS